ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება

ბრძანება:**ბ13. 1325058001**

თარიღი:**27/02/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ'' ქვეპუნქტისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი თანახმად დანართისა (დანართი თან ერთვის).

2.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქუჩა N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

<u>დანართი</u>

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, განსაკუთრებით კი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ფიზიკურ პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და დაცვას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში „საკრებულო'') პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა განსაზღვრავს დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირის - **ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (ს/კ 224101317, მის: ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. N 2, ელ.ფოსტა:akhaltsikhissakrebulo@gmail.com**) მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების პრინციპებს და მიზანს.

,,პოლიტიკის დოკუმენტის'' მიზანია საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების დაცვის უზრუნველყოფა.

ასევე აღნიშნული დოკუმენტის მიზანია გაგაცნოთ, თუ როგორ მუშავდება სუბიექტის პერსონალურ მონაცემები, რა საფუძვლით და მიზნით მოიპოვებს და რა საშუალებებით იცავს საკრებულო მათ კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ნორმების გათვალისწინებით.

საკრებულო პერსონალური მონაცემების დამუშავებას ახორციელებს ავტომატური, ნახევრად ავტომატური და არაავტომატური საშუალებების გამოყენებით.

ტერმინთა განმარტება

პოლიტიკის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა:

ა) პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას,

სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

გ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი – მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იძლევა;

დ) მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

ე) მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავება – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;

ვ) მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავება – მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე;

ზ) მონაცემთა ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავება – მონაცემთა დამუშავება ავტომატური საშუალებებისა და არაავტომატური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით;

თ) მონაცემთა სუბიექტი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

ი) მონაცემთა სუბიექტის თანხმობა – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება;

კ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

ლ) დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი;

მ) მონაცემთა მიმღები – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა;

ნ) მესამე პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა, სპეციალური წარმომადგენლისა და იმ პირისა, რომელიც უფლებამოსილია დაამუშაოს მონაცემები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი დავალებით;

ო) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი – დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს;

პ) ვიდეომონიტორინგი – საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა);

ჟ) პროფაილინგი – მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას.

პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, მონაცემთა სუბიექტს წარმოადგენს განმცხადებელი, განმცხადებლის კანონიერი წარმომადგენელი, საკრებულოში წარდგენილი პეტიციის ავტორი/თანაავტორი, საკრებულოს მიერ დაგეგმილ/გასვლით სხდომებზე, მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებზე დამსწრე და დასწრების აღრიცხვის ფურცელზე ხელმომწერი პირი/ები, ასევე პირი რომელიც იმყოფება/იმყოფებოდა სახელშეკრულებო, შრომით სამართლებრივ ან/და სხვა სახის გარიგებით ურთიერთობაში საკრებულოსთან და რომლის პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, შესაბამისი მიზნებისათვის ამუშავებს დაწესებულება, ნებისმიერ პირი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობასთან, ან/და რომლის მიმართაც მონაცემთა დამუშავება კანონით/კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებაა.

პერსონალური მონაცემები, რომელიც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დამუშავდება

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ამუშავებს შემდეგ პერსონალურ მონაცემებს და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს:

- საიდენტიფიკაციო მონაცემები: მონაცემთა სუბიექტის სახელი, გვარი, მამის სახელი, პირადი ნომერი, პასპორტის ნომერი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, ხელმოწერა, მოქალაქეობა, სქესი, გარდაცვალების თარიღი, რეგისტრაციის მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, რეგიონი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ასევე ნებისმიერი სახის მონაცემი, რასაც დაინტერესებული პირი თავად წარუდგენს საკრებულოს;
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები - თუ განცხადება წარმოდგენილია მხარდაჭერის მიმღების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ ან მისი სახელით, თუ განმცხადებელი თავად მიუთითებს განცხადებაში მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით სარგებლობის მიზნით მონაცემთა სუბიექტი თავად წარუდგენს ინფორმაციას საკრებულოს, ასევე, საკრებულოში საჯარო მოსამსახურეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი დროებითი შრომისუუნარობის გამო წარმოადგენს საავადმყოფო ფურცელს;
- სახის გამოსახულება - სახის გამოსახულების მონაცემები მუშავდება ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას;
- შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული მონაცემები - შრომითი ურთიერთობების დაწყებამდე, პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის მიერ ანკეტაში/რეზიუმეში/ავტობიოგრაფიაში მოცემული პირადი ინფორმაცია, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო პერსონალური მონაცემები;
- ნასამართლობასთან ან/და ბრალდებასთან/მსჯავრდებასთან დაკავშირებული მონაცემები - საკრებულოში პირის/მოსამსახურის/თანამშრომლის დასაქმებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას;
- არასრულწლოვანის მონაცემები - არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება – მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს გონივრული და ადეკვატური ზომა 16 წლამდე არასრულწლოვანის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის დასადასტურებლად. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გაითვალისწინოს და დაიცვას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები;

- არასრულწლოვანის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები - არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- გარდაცვლილი პირის მონაცემები - გარდაცვლილი პირის შესახებ წინამდებარე პუნქტში მითითებული მონაცემები მუშავდება, თუ აღნიშნული პირი დასაქმებული იყო საკრებულოში. მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია: ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლებით, თუ ამ მონაცემთა დამუშავება აკრძალული არ არის მონაცემთა სუბიექტის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მიერ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტმა გარდაცვალებამდე წერილობით აკრძალა მისი გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება), თუ მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალებიდან გასულია 30 წელი, თუ ეს აუცილებელია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლების განსახორციელებლად.
- კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რასაც დაინტერესებული პირი თვითონ წარუდგენს საკრებულოს.

დამუშავების პრინციპები

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მონაცემთა დამუშავება ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

- **კანონიერების პრინციპი** - მონაცემები მუშავდება კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად;
- **ინფორმირებულობის პრინციპი** - მონაცემები მოიპოვება მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს მომსახურებასთან დაკავშირებული კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;
- **პროპორციულობის პრინციპი** - საკრებულოში მომსახურების/საქმიანობის პროცესში მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, საკრებულო ამუშავებს მხოლოდ იმ მონაცემებს, რომელიც არის მომსახურების/საქმიანობის ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;
- **მონაცემთა სისწორისა და სიზუსტის პრინციპი** - საკრებულოში დამუშავებული მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

- **გონივრულობის პრინციპი** - მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;
- **მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპი** - მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, მათ

შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიზნებისთვის;

- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარანტიები და არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.

მონაცემთა დამუშავება უფლებამოსილი პირის მიერ

საკრებულო ლეგიტიმური ინტერესის საფუძველზე და საჭიროების გათვალისწინებით, უფლებამოსილია პერსონალური მონაცემები გადასცეს სხვა პირს (პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი), რომელიც საკრებულოს ან/და საკუთარი სახელით დაწესებულებისთვის ახორციელებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემა ხორციელდება ხელშეკრულების ან/და კანონის საფუძველზე. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის პერსონალური მონაცემების დაბრუნებას, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას და პერსონალურ მონაცემთა საკუთარ ბაზაში წაშლას.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა და უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაამუშაოს მონაცემები მისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონიერი მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე საჭიროა შესაბამისი მომსახურების უზრუნველსაყოფად, დასაქმებულთა უფლებებისათვის და მათი რეალიზებისთვის, დასაქმებულთა ინფორმაციის მართვისთვის, კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის და სხვა საჭიროებებისთვის.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია არ გაამჟღავნოს და არ გადასცეს პერსონალური მონაცემები მესამე პირს.

მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათი დამუშავება განახორციელოს სამართლიანად, კანონიერად, გამჭვირვალედ, მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეულახავად.

მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირს, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, ახორციელებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, პასუხისმგებლობა ეკისრება პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებაზე, უკანონო გამოყენებაზე, დაკარგვაზე, უკანონო მოპოვებაზე, შეცვლაზე, უკანონო განადგურებაზე და სხვა არაკანონიერ ქმედებაზე.

მონაცემების მესამე პირებისთვის გამჟღავნება

საკრებულო უფლებამოსილია მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლების არსებობისას გადასცეს მესამე პირებს (მათ შორის სახელმწიფო უწყებებს, მაკონტროლებელ და საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს და სხვა პირებს) შემდეგი მიზნებისათვის:

- მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის;
- საქართველოს კანონმდებლობით საკრებულოსათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით;
- სხვა მესამე პირებთან, სახელმწიფო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ორგანიზაციის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის;
- ასევე მესამე პირებისაგან მიიღოს საკრებულოსათვის აუცილებელი მონაცემთა სუბიექტის მონაცემები (მათ შორის პერსონალური მონაცემები).

ვიდეო მონიტორინგის განხორციელება

საკრებულოს ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით, ასევე უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად,

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში მიმდინარეობს შენობის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მონიტორინგი.

მონაცემთა სუბიექტის უფლებები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად მონაცემთა სუბიექტის უფლებაა:

მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს ინფორმაცია:

ა) მის შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;

ბ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;

გ) მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

დ) მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების შესახებ;

ე) მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;

ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;

ზ) ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაცია მიიღოს მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს;

მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს წერილობითი განცხადების საფუძველზე გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში,

მდებარე ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. N2 და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის:

ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური;

ბ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილია გონივრული საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს გაეცნოს ან/და მიიღოს მათი ასლები იმ ფორმით, რომლითაც დაცულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არის დადგენილი. განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს. მონაცემთა სუბიექტს აგრეთვე უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა ასლების მიწოდება განსხვავებული ფორმით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილი გონივრული საფასურის სანაცვლოდ და იმ შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია.

მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია სუბიექტის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გაასწოროს, განაახლოს ან/და შეავსოს მონაცემები სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად და მონაცემთა გასწორებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში აღნიშნულის შესახებ აცნობოს სუბიექტს. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე ეცნობება მონაცემთა სუბიექტს.

თუ საკრებულო სუბიექტისგან დამოუკიდებლად გამოავლენს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები მცდარი, არაზუსტი ან/და არასრულია, მან გონივრულ ვადაში უნდა გაასწოროს, განაახლოს ან/და შეავსოს მონაცემები.

დაწესებულებამ მონაცემთა გასწორებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ უნდა აცნობოს მონაცემთა სუბიექტს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება უკავშირდება ტექნიკური შეცდომის გასწორებას/აღმოფხვრას.

მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება;

საკრებულო ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და მონაცემების წაშლა ან განადგურება ან მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, თუ:

- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია განმცხადებელთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით, ან შესაბამისი კანონის აღსრულების მიზნით გამოცემული ნებისმიერი სახის კანონქვემდებარე აქტით;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის მიზნისთვის, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღსაკვეთად;
- სახეზეა შრომითი ვალდებულებები, რომელთა ხასიათიდან გამომდინარე დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან/და დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად აუცილებელია მონაცემთა დამუშავება.

მონაცემთა დაბლოკვის უფლება

მონაცემთა სუბიექტს ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობის შემთხვევაში უფლება აქვს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა თუ:

ა) მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს;

ბ) მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას;

გ) მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად;

დ) მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა;

ე) არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

მონაცემთა გადატანის უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს საკრებულოს და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოს მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.

თანხმობის გამოხმობის უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა, ხოლო თანხმობის გამოხმობამდე დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

გასაჩივრების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.

მონაცემთა სუბიექტის უფლებები არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

ინფორმაციაზე წვდომა

საკრებულო პერსონალურ მონაცემებზე წვდომას ახორციელებს სხვადასხვა წყაროების მეშვეობით, რომელთაგან გამოსაყოფია შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- მონაცემების მიღება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტის, მონაცემთა სუბიექტის /მონაცემთა სუბიექტის კანონიერი წარმომადგენლისაგან ან სხვა დაწესებულებ(ებ)იდან მიღებული დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე;
- მონაცემებზე წვდომა მეორე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მეშვეობით;
- საჯარო ხელმისაწვდომი კანონიერი წყაროებიდან;
- ამ პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით ნებისმიერი სხვა კანონიერი წყაროსგან.

დაწესებულება მონაცემთა რაოდენობის, მონაცემთა დამუშავების მასშტაბის, შენახვის ვადებისა და მონაცემებზე წვდომის განსაზღვრისას უზრუნველყოფს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღებას, რომ მუშავდება მონაცემების მხოლოდ ის მოცულობა, რომელიც აუცილებელია დამუშავების კონკრეტული მიზნისთვის.

მონაცემთა შენახვის ვადა

პერსონალური მონაცემები და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები ინახება საკრებულოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით მასზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72

ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხით (მათი შენახვის ვადების მითითებით)'' განსაზღვრული ვადებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს ორგანული კანონით და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

საკრებულოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი განსაზღვრულია საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ასრულებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია-მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია უშუალოდ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს:

- მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, საკრებულოს თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;
- მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე საკრებულოს მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს;
- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, საკრებულოს წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;
- მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
- საკრებულოში მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და მისი საკონტაქტო მონაცემები გამოქვეყნებულია საკრებულოს ვებ გვერდზე https://www.akhaltsikhe.gov.ge/ge და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ გვერდზე www.personaldata.ge.

ინციდენტი

ინციდენტი წარმოადგენს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევას, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვის გარანტიები

საკრებულო უზრუნველყოფს მონაცემთა შენახვას უსაფრთხო და დაცულ სივრცეში, რათა დაიცვას მოქალაქეების პერსონალური მონაცემები არაავტორიზებული ან არაკანონიერი წვდომისაგან, დაკარგვისგან, გამჟღავნებისგან ან განადგურებისგან.

ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკებისა და პროცედურების საფუძველზე საკრებულო უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან/და უკანონო განადგურებისგან, შეცვლისგან, მოპოვებისგან, გამჟღავნებისგან და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და დაკარგვისაგან სათანადო ორგანიზაციული და ტექნიკური ზომებით.

საკრებულოში მკაცრად არის დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ საჯარო მოსამსახურეებსა და თანამშრომლებს, ვისაც მონაცემების დამუშავება სჭირდებათ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

პასუხისმგებლობა

საკრებულოში დასაქმებული პირები ვალდებულნი არიან დაიცვან ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი და შიდა სტანდარტები.

შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაწესებულების დასაქმებული, რომელსაც სამსახურებრივი მიზნით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში წვდომა აქვს პერსონალურ მონაცემებთან, მათ შორის, ახორციელებს მის დამუშავებას და ინახავს ელექტრონულად ან მატერიალურად შესაბამის დოკუმენტაციას, ვალდებულია დაიცვას დოკუმენტაციის წარმოების სათანადო წესი, დოკუმენტაციაში არსებული ჩანაწერების კონფიდენციალურობა და შეინახოს აღნიშნული დოკუმენტაცია

დაწესებულებაში შესაბამის უსაფრთხო ადგილას, სადაც დაცული იქნება დოკუმენტაცია დაზიანება/განადგურებისგან და მესამე პირთა წვდომისგან.

შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაწესებულების დასაქმებული, რომელიც სამსახურებრივი/კანონიერი მიზნით ინახავს შესაბამის დოკუმენტაციას და ახორციელებს კომპეტენციის ფარგლებში პირის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, პასუხისმგებელია დოკუმენტაციის დაცვაზე და დოკუმენტაციაში არსებული პერსონალური მონაცემების გამჟღავნებაზე, უკანონო გამოყენებაზე, დაკარგვაზე, უკანონო მოპოვებაზე, შეცვლასა და უკანონო განადგურებაზე.

შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, საკრებულოში დასაქმებული პირი ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, მათი დამუშავება განახორციელოს სამართლიანად, კანონიერად, გამჭვირვალედ, მონაცემთა უფლებების შეულახავად.

შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, საკრებულოში დასაქმებული, რომელიც სამსახურებრივი/კანონიერი მიზნით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინახავს შესაბამის დოკუმენტაციას, მათ შორის ახორციელებს კომპეტენციის ფარგლებში პირის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემების დამუშავებას, ვალდებულია იხელმძღვანელოს და დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, შესაბამისი რეგულაციები, სამედიცინო გაიდლაინები, სხვა სამართლებრივი აქტები და წინამდებარე პოლიტიკა.

საკრებულოში დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება.

საკრებულოში დასაქმებული ვალდებულია არ გაამჟღავნოს და არ გადასცეს სხვისი პერსონალური მონაცემები მესამე პირს. პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება ძალაში რჩება იმ შემთხვევაშიც, თუ პირი აღარ იმყოფება საკრებულოსთან შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია მოითხოვოს და ამ შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი/ზარალი.

პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დამტკიცებული წესებისა და არსებული რეგულაციის დარღვევა წარმოშობს საკრებულოში დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

ცვლილებები პოლიტიკაში

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილებები და დამატებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში, ხოლო მოქმედი რედაქცია განათავსოს საკრებულოს ვებგვერდზე: https://www.akhaltsikhe.gov.ge/ge.

როგორ დაგვიკავშირდეთ

წინამდებარე განაცხადთან და ასევე სუბიექტის მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით შეკითხვების ან/და რაიმე სახის მოთხოვნის შემთხვევაში, შეგიძლიათ საკრებულოს დაუკავშირდეთ შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით:

ეწვიეთ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო საათებში.

გაუგზავნეთ ელექტრონული წერილი, ელ-ფოსტით შემდეგ მისამართზე: **akhaltsikhissakrebulo@gmail.com**.